

გაზეთის უასი

ქრონოსი



ხელის მოწერა მიიღება:

თელისში „ქრონოსის“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-მელიქის ქ. კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, მეტეოროს სახლში... რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრევის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კპ.

საკრულითიკო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქცია უმოკრისათ სთხოვს იმ ხელის-მოწერას, რომელთაც ამა-დინ გაზეთის უფლი არ უმოკრისათ, ახლა გამოგზავნონ ის „ქრონოსის“ რედაქციის სახელზე.

შინაარსი:

რედაქციის განცხადება. შინაგანი ამბები. რუსეთის ამბები. პოლიტიკა: ისპანია, — ანგლია, — შვეიცარია. — საეკონომიკური განცხადებები — საბიბლიოგრაფიული ცნობა. — მკვირთა და რკინის გზით — შარტა. — ტელეგრაფი.

შინაგანი ცნობები.

რა ნაირი ახირებული ამბები ჰხდება ხოლმე ხანდისხან ჩვენ პატარა ქალაქებში, გვიჩვენებს ერთი შემთხვევა, რომელზედაც იწერება ერთი ჩვენი კორესპონდენტი ქ. მ. — დან; „მ. რს. აგვისტოს. მთელი მ. — თის ქალები განჩნობდნენ იყენენ და ჰკიცხავდნენ ერთს: იქაურ პირს, რომელსაც მიეწვია ისინი საღამოს, დროს გასატარებლათ; მაგრამ, წარმო-

მკვირთა და რკინის გზაში

(მოგზაურის შენიშვნები).

... არ მახსოვს, რა ნაირათ ჩავეყვი მე შრანკურტში მაინის კიდეს. იმ აღვილამდი, სადაც უწინ ციხის გაღივანა მღი-ნარის ნაპირზე თავდებოდა. იმ ნადალიდევს მე ძალიან დაფიქრებული გამოვედი შინიდან; ჩემ თავში იმდენი სამწუხარო აზრები ვარჯი-შობდნენ, რომ გზის განგების ფიქრმა ტირ-ში ადგილის ჰოვნა ვერ მოახერხა, და მე მივხატელობდი პირდაპირ. თავის გასამართ-ლებლათ კი შემძლია გაიხსენა, რომ ხში-რათ მწუხარე აზრებით ავსებულ კაცებს ცი-ხის გაღივანდეს გარდაუბიებიათ, და შორს, ძალიან შორს, უშველებელ ბნელ ორმოში, ზოგს აკლდებენ და ზოგს როკზე მიუსხამთ ტინი... ასე შორს მე ბედს ვერარ გაუტა-ცებდნენ; მაგრამ, დარწმუნებული ვი ვარ, რომ ჩემი ხსიათით ამ ბედს მე ვერ ავიცილებდი.

ძველი ციხის გაღივანი შრანკურტლებ-მა დიდი ხანია დააკციეს, რადგანაც ეხლან-დელ ზარბაზნებს და ჯარს ძველებური ციხე მაინც ვერ დაკავებდა; გაღივანის და ორმო-ების ადგილზე მშენებრივი ხეობი დარგეს, ლა-მაზი ქუჩები გაიყვანეს, და ეხლა საღამ-საღა-მოობით თითქმის მთელი ქალაქი თავისი მშ-ენებრივი ქალაქის გარემოში მშენებრივი ხე-ობის ჩრდილში სვირიაობს.

ქა-იქ კუთხეებში დგანან პატარა კარები — ლამაზი დუქნები, სადაც მოსვირის შეუძლია სიღის, ან ზედიერის წყალი დალიოს ყინუ-ლით და მურაბის, ან ლიმონის წყენით. ამ დუქნებში ვაჭრობენ ლამაზი, ლაზთიანათ ჩაქმილი ქალები და, ვისაც ქეფი აძლევს, იმას შეუძლია ორიოდ კაპეკათ მურაბის წყენით ყვილი გაიბრილოს და თან მშენებრივ ქალთან მუსიფით გემოც ჩაიგემრიელოს.

რუსულათ ნათქვამია: ნემეცი იმისთანა მო-ხერხებული კაცია, რომ მაინუნი გამოიგონა. არ ვიცი, მართლა გამოიგონა ნემეცი მაი-მუნი თუ არა, და ფიცს ქვეშ რომ ვინმე მკითხოს, კიდევაც ვიტყვი, — არა მგონია მეთქი; მაგრამ იმაზე კი ძალიან მტკიცეთა ვარ და-

იდგინეთ, ამბობს კორესპონდენტი, როცა ქალები მივიდნენ მასპინძლის სახლში, იქ არა-ვინ არ დახედათ და მხოლოდ მაშინ შეიტყ-ვეს, რომ იმას არაერთი პატივობა არჰქონდა იმ დღეს. მიპატივებულები, რასაკვირველია, იძულებული იყვნენ თითო თითოთ შინ და-ბრუნებულიყვნენ. — მსეც ჩვენებური ხუმ-რობა გახლავთ!

უფ. სემენენკო იწერება მზურგეთიდან „Кавказ“ ში რომ 29 იელისს, საღამოს 6 ექვს საათზე შემოქმედში, სტეფანწმინდაში, ბა-ვაში, მსკანაში და ზოგიერთს სხვა სოფლებ-ში იყო საშინელი ქარიშხალი, რომელმაც წააქცია და დაამტვრია ბევრი სიმინდი და ლო-მი ყანებში; ამ ქარიშხალმა ამას გარდა გა-აუტუა შემოსენებულ სოფლებში 150 ნიგე-ზის ხე, 84 ხეხილის და 75 მალლარის ხე. ამ უბედურებამდი ამ სოფლებში ყველა კარგ მოსავალს მოელოდა; როგორც ამბობენ, ქა-რიშხალმა ოთხი ათასი მანეთის ზიანი მისცა მცხოვრებლებს.

რწმუნებული, რომ ნემეცი მოხერხებული და ოსტატი კაცია: აბა ჩვენში ვინ მოიაზრებდა სასმელების გამოიდევლათ ლამაზი ქალების დაყენებას? აზრი კი ძალიან უბრალო და სა-სარგებლოა: როცა კაცი ლამაზს ქალს ემუსიფება, ის ცოტადღინათა მინც აღტა-ცებულია, იმას უფრო ჩქარა უძგერს გული, სისხლი სწრაფლათ მუშაობს; და ამ მიზეზით წყურვილიც უფრო სასტიკია. ნახე-ვარ საათში, კაცი ორჯერ-სამჯერ მინც გარ-დაკრავს თითო ქიქა ცივ წყალსა, და რამ-დენჯერაც ქალი გაუღიმილებს, პასუხის მაგი-ერთათ, აღლევებული, ნარნარი, ნაზი ხმით ეცე-დრება:

— Noch einmal, bittel (მართი კიდევ და-მისხით).

მოდის და ნუ აყვადებთ ვაჭრობა ამისთანა ვაჭრების ხელში...

იმ დღეს, როგორც წესად ვთქვი, მე სულ სხვა ნაირათ ვიყავი აღლევებული და ძალი-ან გულგრილათ დაუკარი თავი ორიოდე სა-სმელების გამოიდევლებს. როცა იმათ კარების წინ ვაიარე: „ოროდღე“ კი არა, ოციოდე კარავსაც ამ ნაირათვე ვაეცილებოდო, რკი-ნის გზის სტევენას რომ უეცრათ არ გავერე-ტებინე. ჩემს პირდაპირ, გაღივანიდან ასიოდე ნაბიჯზე სტანცია იდგა და, შორიდან მომა-ვალი მაშინა, გამწარებული მოჰქვიოდა.

მე ძალიან მსიყვარს რკინის გზაზე მგზავ-რობა: გაუყვევლათ მიმდინარე კაცს სიხმა-რივით ახსენდება დატოვებული ქალაქები, მათში უნაყოფოთა გატარებული დროება. . . . ამ წარმოუდგენელ ფრინვას რაღაცა თვალთ-მა-ქტური ძალა აქვს. მასს ჰგონია, რომ იმან უკანასკნელს ქალაქში სამუდამოთ დატოვა ყოველიფერი, რაც კი გულზე აწვა და ტენის უქამდა; იმას ჰგონია, რომ მიფრინავს იმისთ-ნა ალაგისკენ, რომელიც საესეა ნდობით, ძმობით და ერთობით, სადაც მცხოვრებნი ერთმანერთის ოფლით და შრომით არ ძღე-ბიან და, ერთმანერთის მტრობის მაგიერათ, ცდილობენ ერთი მეორეს დაეხმარონ, ხელი გაუწყონ და სიცოცხლე გაუადვილონ... მარ-

კორესპონდენცია სოფ. ხაშიდან.

მს ორი წელიწადი მიდის, რაც ხაშილები მამულის მოსავალს ემდურებიან. — ღვინის მო-სავალი შარშანაც ძირიელ სუსტი იყო და, რაც მოვიდა, ისიც მჭავე და ფერმკრთალი დადგა; ნაცრის შიშით, როგორც აქ ამბობენ, სოფ-ლის მცხოვრებლებმა ძირიელ ადრე — დამწი-ფების უმალ — დაკრიფეს შარშან ყურძენი (ოქტომბრის გასულის მაგიერ, დაკრიფეს სე-ქტემბრის შუაში). ამ წელს ჯერ ღვინისა და ეგრეთვე აბრეშუმის მოსავლის დიდი იმედი აქვთ, მაგრამ პურის მოსავალს კი ძალიან ემდურებიან, რადგან თითქმის არც ერთს ოჯახში არ მოსულა ორი, თუ სამი თვის სა-მყოფზე მეტი. მსლავე აპირებენ შეუდგენ ღონის ძიებას, რომ ზამთარში გამოიტანონ რამე რიგათ თავი. უწინ ხაშიში კარგი მოსა-ვალი იცოდა და ამის იმედი ჰქონდათ; ეხლა, ღვინის მოსავალმა თუ არ უშვე-ლა, ცუდათ იქნება ამათი საქმე. — როგორც ამ სოფლისა, საზოგადოთ სხვა სოფლების

თალია, ეს მოლოდინი ძალიან იშვიათათ სრულ-დება და ახალ ქალაქში კაცი ძალიან ხშირათ ფრის წამტვრევს ხოლმე იმავე უხერხობაზე, რომელთაც იმას წინანდელი ქალაქი მო-აბეზრეს; მაგრამ კაცის ცხოვრება ისე ძნელი და მწარეა, რომ მე არ შემძლია მადლო-ბით არ მოიხსენიო რკინის გზა, რომელიც ორიოდე საათის განმავლობაში მინც გვაეი-წყებინებს სიცოცხლის სიმწარეს. ღიან, მე ძალიან მიყვარს რკინის გზაზე მოგზაურობა.

რასაკვირველია, რომ მაშინის დასტვენა და ჩემი საათის ამოღება ერთს და იმავე წამში მოხდა. და რაკი საათი ხელახლავ უბეში ჩა-ვიდე, მეორე ჯიბიდან ამოვიდე პატარა ქა-ლალღ, რომელზედაც რკინის გზის წასვლა-მო-სვლის დრო იყო დაბეჭდილი.

შრანკურტიდან რვა რკინის გზა მიდის სხვა და სხვა ქალაქებისკენ. მე ვიდექი იმ გზის პირდაპირ, რომელიც მაინის და მერზე რკინის მარჯვენა ნაპირს მიყვება, და ადგილ-ადგილ მშენებრივი „ტაუნუსის“ მთებში შე-უხებეს, საღამანაც სხანან ეს ორი მდინარეები თავიანთი მიწებებით, ლამაზი ქალაქებით, სო-ფლებით და დაქცეული საშუალ საუკუნოე-ბის ციხეებით. საუბედურათ, მე საათის სამი ჩარეკი კიდევ უნდა მომეცადა შემდგომი მა-შინის წასვლის დრომდი.

— მჰ, ამ სამ ჩარეკსაც როგორმე მივებენ-ტამ მეთქი, ვიფიქრე მე და ნელ-ნელა სიარუ-ლი დაიწყო. — დღეს აგრე რამ მოგაწყინათ? შორიდან დამიძახა ერთმა ახალგაზდა მედუქნე ქალმა, რომელიც ჩვენებურ მედუქნეებს ნაკლებათ ჩამოგაგდა.

მე მიუახლოვდი იმის კარავს.

— დღეს კერაა, მთელი ქვეყანა მხიარუ-ლობს, თქვენ კი მომაკედავი კაცივით მო-ლუშულხართ. რა დავემართათ? საყვარელი ხომ არ დაგკარგვიათ, ან სტომაქი ხომ არ გტკივიათ?

— სოტათი რომ კიდევ უფრო მალა-აგეწიათ, მიხედებოდით: მე თავი მისკდება.

— ამისთანა სიცხეში ეს ძნელი საქმეა.

— საშინელი ძნელია.

ესრეთი ზარალისაგან, რასაკვირველია, და-აკლდება თეთ ქალაქებსაც და შემძლებლე-ბსაც, რადგანაც, ცხადია, რომ სიმდიდრე სო-ფლისა არის წყარო ქალაქების სიმდიდრისა. — რუსის ანდაზაა, რომ ყოველ ცუდს საქმეში სიკეთე მოიხანებო; იქნება, ღმერთმა ქნას, და ამ პურისა და ღვინის ნაკლებობამ ჩვენში სიკეთე მოიტანოს. ხანდისხან ხალხის დალა-რობება არის მიზეზი და დამადებელი სხვა და სხვა საცხოვრებელი სახსრების მოძებნისა. რასაკვირველია ჩვენ აქ იმას არ ვამბობთ, მითამ პურის, ან ღვინის მოუსვლელიობა და ქვეყნის დაზარალება სასარგებლო იყოს ყველასთვის და ყოველთვის; არა, ჩვენ გესურს ვსთქვათ, რომ თუ ზეგარდამო ზანგე-ბითა მოხდებდა ეს ზარალი, მაშინ კაცი იძუ-ლებული იქნება მოიპოვოს ისეთი ხელოვნ-ებითი ღონისძიება, რომელმანც ამ ცუდი მოსავლის დროს შეეწიოს იმას.

ჩვენ მიმართულნი ვართ მხოლოდ მიწის მუშაობაზე; მაგრამ, საუბედურათ, იმასაც ვერ ვასრულებთ ისე, როგორც რიგია; გუ-

— არა, ხუმრობა გაშვებით, ასე მოწყე-ნილი რათა ხართ? შიქვენ, როგორც ვხედავ, ეს ხშირათ გემართებათ და, მე ვერ მიხედარ-ვარ რა მიზეზია, რომ თქვენ ხან მეტის მე-ტი ხუმარა და მხიარული ხართ და ხან — სრუ-ლიად დაღონებული.

— მეც ძალიან მივირის, რომ თქვენ ხან გძინათ და ხან გღვიძათ.

— მს რა შედარება?

— შედარება იქით იყოს, მე ხეალ თქვენ პატრონს ვეტყვი, რომ თქვენ ძალიან ცუ-დათ ასრულებთ თანამდებობას: აგერ ხუთ მინუტზე მეტია, რაც აქ ვდგავარ, და თქვენ აზრშიაც არ მოგსვლიათ რამე დამალევი-ნოთ! ამდენ ხანს ხეირიანი მოვაჭრე ორო-დე სტაქანს მაინც გამოაცლებინებდა მოსე-ირნეს. მრცხენოდეთ; თქვენ მუქთათ იღებთ ჯამაგირს, და ის გულდენი (სამი აბანი), რო-მელიც თქვენ გეძლევათ დღეში, თუ სააქაოს არა, საიქაოს მაინც წამწარადებათ...

— ჩემ ცხოვებაზე და წაწყმედაზე ზრუნე-სათვის დიდ მადლობას შემოგწირავთ, მაგრამ ამ ზრუნეთ თავს ტყუილათ ნუ იწუნებთ: მაღალმა ღმერთმა კი იცის, რომ ერთი გუ-ლდენი დღეში სასმელ-საჭმელში და სადგო-მში ძლიერს მყოფნის, და ლაზთიანათ რომ არ იყოს ჩაქმილი, ჩემი პატრონი ხეალეე გამისტუმრებს. ამ გულდენის გულისთვის, მე დილის რვა საათიდან საღამოს ათ, და ხა-ნდის-ხან თერთმეტ საათამდე აქ მოუტოლე-ბლათ, ტუალსავით უნდა ვიჯდე...

— ტუსალების ამბავს, თუ მკითხავთ, მო-გახსენებ, რომ ისინი თქვენ მდგომარეობაში რომ დააყენათ, ათს მაგდენს მოგართმევენ დღეში სამადლობელს...

— მერწმუნეთ, დიდი განსხვავება არ არის ჩვენსა და იმათ შუა!

— სოტა იმათაც ჰკითხეთ, და მერე მე მიამბეთ.

— მთქვათ, რომ არის; მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ იმის ფასი, რომ თითქმის ტუ-სალებით გეჯიან? ტუსალები ხომ რამეში მაინც დამნაშავენი არიან...

— შეიძლება... მაგრამ მე ზოგი ტუსადი



გადათ ასე რომ მერე ყველა ქალების სასწავლებლებში სწავლა ძალიან წარმატებულად; და თუ ცუდად წავა სწავლა ამ კურსებში, მაშინ შეიძლება დაეცეს ის მშვენიერი მიმართულება სწავლისა, რომელსაც ეხედავით ახალ თაობის ქალებში. ამ ლექციებს აქვს აზრით მხოლოდ შეუძლოს ქალებს ის ცოდნა, რომელიც აქვთ მიღებული; ამიტომ ლექციები არა ცდილობენ იმას, რომ ქალებს ასწავლონ რომელიმე საგანი, რომელიც საჭიროა რომელსამე მაღალ სასწავლებელში შესასწავლო; ამიტომ უფ. პაულსონი ურჩევს, რომ სასწავლებლო ქალებმა აირჩიონ ისეთი საგნები, რომლებიც კაცს ნამდვილად უსხნიან გონებას.

პოლიტიკა.

ისპანია.

ძარლოსტების საქმე, როგორც სჩანს, სრულდებით წაგეულია; იმათ არც ფული და არც თოფიარალი აკლდათ; მოძრაობის პლანტი ხერხიანათ იყო შედგენილი; მაგრამ ეს იყო, რომ ხალხი არ იყო თანაგრძობი. ბასკის პროვინციებშიაც კი ხალხი გულგრილად უტყპრდა იმათ. — აქამდისაც არაფერ იცის, სად არის ღონ-ძარლოსი.

შვეიცარია.

ბერნი, აგვისტოს 3-ს. ეს ერთი წელიწადიარა ცნობილია ძრებამ მოსთხოვა ქვეშის რჩევას, რომ შეეკრიფათ რაკი შეიძლება სრული ცნობები ყმაწვილების მუ-

შაობაზე ფაბრიკებში და წარმოედგინა ძრებისათვის. ეს ცნობები ახლა უკანასკნელ სხდომაში წარმოადგინეს, მაგრამ თითონ საგანზე კი ჯა კი წამოიარა არის გადადებული. შევლა ცნობებიდან ბაზელის ქანტონის ცნობები შესანიშნავია, რადგანაც იმათ დაუწყებიათ კანონი იმ აზრზე, რომ სხელომწიფო ვალდებულია ყმაწვილის შენახვისა; ყმაწვილი არის შემდეგი წვერი საზოგადოებისა და სახელომწიფო უნდა იფარავდეს გონებრივად, ფიზიკურ და ზნეობითი წახდენისაგან და ამასთან უნდა მისცეს იმგვარი აღზღის საშუალება, რომ შემდეგში ყმაწვილს შეეძლოს თავისი დანიშნულების შესრულება. ქვეშის რჩევა თავის ანგარიშში ამბობს, რომ შეიცარიის ფაბრიკებში ახლა 9,540 ყმაწვილი მუშაობს (იმათ რიცხვი 488 თორმეტ წელიწადზე უნდა იყოს); გარდა ამისა იმაში სწავრა შემდეგ: „რომელსამე ქანტონებში და ქარხნებში არის მიღებული ყველა ახალი საშუალება ყმაწვილების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მუშაობის გასაადვილებლად, მაგრამ ბევრი წილი ფაბრიკები კი ისევე ძველ წესზე არიან. შემდეგდებოდას და ფაბრიკანტებს შეეძლოთ გაეუმჯობესებინათ ბედი ფაბრიკის ყმაწვილებისა, თუ კანონები და დაწესებები უფრო განათლებულ კანტონებისა ყოველგან განეგრეკებინათ.“

— შენების ბაზეთში“ დაბეჭდილია კანტონები შრანციისა და შევიცარიის შუა ერთი მხრიდან მეორეში გაქცეული დამანაშაფების გადაცემაზე. როგორც იმის ამ სახელმწიფოებს მუა ყოფილიყო ცოტა უთანხმოება პოლიტიკურ დამანაშაფების გადაცემაზე. აი კანტონების ის მუხლები, რომლებიც შეეხება ამ საგანს.

დიდი განსაცდელის გამო მაშინასავით ქუჩილს და ხენეზას ხელი მიჰყო, მე ნაზი ხმით, თითქმის ღიმილით უთხარი.

— მაი, თუ ჩემი სიგარის კომლა შეგაწუხოს.

შხერო კაცს ეუძახი მე იმას, ვინც ზარბაზნის მსგავს რასმე ვერ მოიფიქრებს, როცა ზარბაზანი უჭირს. რადგან ჩემი მგზავრების გასადენათ ზარბაზანი არა მქონდა, მე ან სხვა რამე უნდა მომეხერხებინა, ან არა და ჩემი თავი უხეირო კაცთ ჩამეთვალა. — ძალი ყოველთვის კაცია, თავის მოყვარვა: — უხეირო კაცთ თავის თავის ჩათვლას გაჭირებული კაცის მეტი, ვინ არ მოერიდება. მე ვიფიქრე; ვიფიქრე და ბოლოს გავიხსენე, რომ ფრანკუზებს საშინლათ სთულთ საშლავარს გარეთ ფრანკუზების შეხედრა. რაკი ეს აზრი მომივიდა თავში, მე ეთქვი: თუ ესლა მე ესენი ფრანკუზული ენის ცოდნის გამოჩენით ვერ გავრევე, მათი გადენა მიხეილ მთავარანგელოზსაც არ შეეძლება, და ისევე ის ემჯობინება, რომ მე თვითონ ავიბარო, და ჩემი ადგილი ამათ დაუტოვო მეთქი. ამ აზრით ეუთხარი მე ახალ შემოსულ გოდორიან გოდორს ის სიტყვები, რომელიც წელან დავწერე.

— Au fait, c'est incommode (ძართლა, ეს ძნელია), უთხრა ქმარმა ცოლს ფრანკუზულათ. ცოლმა ხმა არ ამოიღო, მაგრამ იმ ნაირათ შემომხედა, თითქო უნდოდა თქმა — კარგი იქნება, რომ სხვა ადგილს მოჰძებნიდეთო.

— მე ეწუხვარ, ქალობატონო, რომ თქვენი შეწუხების მიზეზი ვარ, მაგრამ მთელ გზაში მარტო ეს ერთი გაყოფილებაა, რომელშიაც მოგზაურებს თამბაქოს მოწვევის ნება აქვთ, და მე თამბაქოს საშინლათ ვეწევი; უთხარი მე ფრანკუზულათ, როცა შევატყე, რომ ამ ენით მოგერებას მიპირებდნენ და ჩემი გასვლის იმედი ჰქონდათ.

— რა გეწუხება! ამოიხენევა მოგზაურმა და გაიყენა თავისი ცოლიც.

მაგრამ-რა ნაირი თვლით შემომხედა იმს გასვლის დროს!... მე დარწმუნებული ვარ, იმ დროს ჩემი გამდელი რომ ჩემ გვერდში ყოფილიყო, დაიკვირებდა: „გენაცვალე, თე-

შხ. 2. პოლიტიკური დანაშაული და დამანაშაფენი ამ კანტონებში არ შედის: ვინც იქნება გადაცემული, იმას ვერ მიავენებენ ვერას დროს სასჯელს პოლიტიკური დამანაშაობის გამო, რომელიც გადაცემის წინ მომხდარა.

შხ. 3. ბადაცემა უნდა მოხდეს დიპლომატიური მოთხოვნებით.

ეს შეკრულება იქნება დაურდევველათ ხუთ წელიწადს.

ლოზანაში სექტემბრის 14-სათვის არის დანიშნული მესამე ყრილობა საქვეყნო მონაგრესისა. აი პროგრამა ამ ყრილობისა.

„მიზანი საერთოერთშუა მშვიდობიანობისა და თავისუფლების კავშირისა მდგომარეობს იმაში, რომ მეროპიის ხალხი შეაკევიროს რესპუბლიკური ფედერაციით. საშუალებები ამისი არიან: ბეჭედა, სიტყვა, საერთო კრებები, ხალხის ყრილობები. ქვეშისი ცდილობს, სამუდამო ჯარის სახალხო მილიციით გადაქცევას, ეკლესიისა და სახელომწიფოს საქმეების გააღრმავებას, ქალების უფლების გაგრძელებას, სოციალური საქმეების დაწვევას საკუთრების გაგრძელებით; ამისათვის კონგრესის საჭიროა რაცხს, რომ ასოციაციების შედგენა თავის-უფლათ იყოს, ხალხში განათლება გაგრძელდეს; აგრეთვე საჭიროა რაცხს, რომ სოციალური საქმეებისათვის არა ფერა საშუალება არ დაზოგონ, თუ ეს საშუალება არ არღვევდეს სიმართლეს, რომ უშელონ რამ ხალხის თანასწორობას. ამ მიზნის თანახმად ცენტრალური კომიტეტი ურჩევს მომავალს მესამე კონგრესს: 1) მოსაზღვრონ მეროპიის ფედერალური წყობის

ლი გკრა მაგ შჩენებულმოა! — და ჩემის ხმით, ბუტბუტით და წრუწუნით „თვალის გამოლოცვას“ დამიწყებდა.

ცოტა ხნის შემდგომ ჩვენ გაეფრინდით. სწორეთ რომ ეთქვა, მე აზრით ვიცოდი, რომ მიეფრინა; ჩემ თვალებს და გრძობას კი ეგონათ, რომ მე ძლიერ მოსვენებულათ ოთახში ვიჯექი და იმ ოთახის ფანჯრების წინ გაგვიხედავდა მირბოდნენ ხეები, ტყე-გრათის სვეტები, გზის ზედა-მხედველების კარები, მთები, ტყე და ზინდარი.

ზოდენი ერთი პატარა სოფელია, რომელიც შიაც ხუთასი მცხოვრებელი ძელის მოიკრიფება; მაგრამ ამ პაწაწინა სოფელში რამდენიმე მყავე და მწარე წყარო ჩამოდის, და ამ წყაროების გულისთვის აქ ზაფხულში ხუთი, ან ექვსი ათასი კაცი და ქალი მოდის საექიმოთ. ამათთვის დამზადებულია აქ ასოდე ლამაზ-ლამაზი სახლები, ერთი ზმდონი სასტუმროები, პატარა გაზის ქარხანა, საავთმყოფო სახლი, და სხვ. და სხვ. შოველ სადამოს მშენიერ ბაღში უკრავს მუზიკა; წყაროების გარეშე მოგზაურილი სახით დასეირნობენ აეთამ-ყოფები, ცოტათი მოშორებით, ხეების ჩრდილში, ლამაზ-ლამაზს სკამებზე, გამოარან-კული ქალები სხედან და, დროს მოსაკლავათ, ზოგი გაუთავებელ სტოლის-გარდასახურავს ქსოვს, ზოგი პაწაწინა ძალის ეთამაშება, ზოგს ხელში წიგნი უჭირავს და უხალი-სოთ და უგულსყუროთ მის სტრიქონებს თვალს ადევნებს; ყველა კი გამწარებულათ, დაუღალავათ ამთქნარებს. — ამათში ყოველივე ხალხის არისტოკრატიული ოჯახების წევრები ურჩევიან. ამ საზოგადო მოგზაურებას და „საქმიან უსაქმობას“ გაკვირებული თვალით დასცქერიან ხეები; მათი ფოთლები კანკალობენ შიშით, რომ ამ ქალების მოგზაურება ჩვენც არ გარდაგვედოსო, და მათი კანკალი ხანდისხან შრიალ-შრიალით გარდაცემამა მახლობელ ხეებსა და ბუჩქებს. ძაღვების ახლო-მახლო დგანან, ან დადიან რამდენიმე ახალგაზდა კაცები, რომელნიც იმავე საზო-

საფუძვლები; 2) მოილაპარაკონ და გადაწყვიტონ აღმოსავლეთის საქმეები და ამასთან პოლშის საქმეზე მოილაპარაკონ 3) იპოვონ საშუალება ყოველი სოციალური უთანხმოებისა მოქალაქების შუა; 4) გაშინჯონ წყობილება ქვეშისისა და იმისი გაზეთი „მეროპიის შეერთებული შტატები“ გადააკეთონ.

ანგლია

იელისის 20-ში, საზოგადოების პალატის სხდომაში, იყო ლაპარაკი ხალხის განათლებაზე ანგლიაში. სახელომწიფოს სეკრეტარის ამანაგმა უფ. შორსტერმა ურჩია პალატას დამტკიცება 840,711 გირ. სტერ. ხარჯისა ხალხის განათლებისათვის; ეს ხარჯი მარშანდელზე 60,657 გირ. სტერ. მეტია. ეს დამატება მოხდა უმეტესად მმართველობის მხრიდან, რომელმაც მოუმატა სუბსიდიის დღის და სადამოს შკოლებისათვის. უფ. შორსტერის ანგარიშიდან სჩანს, რომ რიცხვი დღის შკოლებისა ანგლიაში და მალის სამთავროში არის 10,857 და 1940 სადამოსი. ეს შკოლები დაიტევინ 1,663,043 მოსწავლეებს, მაგრამ ერთი მილიონი შეგირდების მეტი არ დადიან, თუმცა შკოლების სიგში ერთნახევრათ მეტი სწერიანო. ამ რიცხვში 400,000 ექვსი წლისაზე უნტროსები არიან. შარშან 692,499 შეგირდებს ეგზამენი დაქვრინეს და 464,422 კარგათ გამოვიდნენ კითხვაში, წერაში და არითმეტიკაში; ენაც სრული ეგზამენი ვერ დაეჭირა, იმათ ზოგს კითხვა სცოდნოდა კარგათ, ზოგს წერა და ზოგს არითმეტიკა. ახლა მოსწავლეების რიცხვიც გამრავლდა და ცოდნაც წინ წაუწევიან, როგორც ეგზამენში გამოჩენილა. პირველ-დაწყებით შკოლებში 11,102 მოსწავლეებელი დიპლომებიანი არიან;

გადოებას ეკუთვნიან. მათს ტანისამოსს, გაწყობილებას და მიხრა მოხრას კილს ვერ გამოუტენის ვერც ერთი მკერვალი ვერც ერთი დალაქი, ან ცეკვის მასწავლებელი, თუნდაც რომ მოდის სურათი ხელში ეჭირავს, და საში საათის განმელობაში ცოცხალ კაცს აღარებდეს.

რა სინარულით დატრიალებდნენ ეს ახალგაზდები, როცა რომელიმე ქალი იმათ საქმეს გაუჩინეს! მათი სტაქანი წყალი რომ მოითხოვს ვინმე, ხუთი, ექვსი ახალგაზდა მირბას ზოგი მარჯვნივ და ზოგი მარცხნივ, და ერთს წამში ხუთი — ექვსი სტაქანი წყალი მოერთმევა ქალს, რომელიც როდღე წვეთს მოსვამს და ექვს კაცს მაღლობას ცუბნება. შევლა გახარებულთა: საქმე გაუჩნდათ, დრო გაატარეს! მინ იცის, როდის იღირსებათ კიდევ ამ ნაირი ნეტარება! ცოტა ხნის მერე, ხელახლავ იწყება მთქნარება. ზოგიერთები, დროს გასატარებლათ, სიყვარულზე მუსიას იწყებენ, — სხვა რაზედ უნდა იმუსიფონ? მაგრამ ეს მუსიფიცი მალე წყდება: რაც იმათ სიყვარულის ძალა ჰქონდათ, კი ხანია დახარჯულია, უსაქმობის მიზეზით, გარდაქარებულ სიამოვნებაში; სურვილი გამქრალია და, სიყვარულის სიტყვების მაგიერათ, მათი გულდიდან ნამდვილი გრძობით და გულწრფელობით ამოჰკვივის ხმა: „ღმერთო! რა დაუბოლოებელი დღეა! ამ ხმას მდამ მოსდევს მთქნარება, და მის გასადენათ კაცი და ქალი, დიდი და პატარა, ნაცნობი და უცნობი ერთსულათ, ერდგულათ ჰორიანობს, ტრამბაზებს, ცრუობს და მედიტრობს პირში და ზურგს უკან. მაგრამ მთქნარება მინც გამარჯვებული რჩება, და ჯინის ამოსაყრელათ, ყოველთვის და ყოველგან, სახლში და გარეთ, დღე და ღამე, ქუჩაში და ტანში პირველ ალაგს არაფერს არ ანებებს.

მორიდე თვის უსაქმობა და მოსვენება სასიამოვნო და სასარგებლო საქმეში გართული კაცისთვის. მაგრამ კინც მუდამ უსაქმოა, ვისაც ჯაფა და მუშაობა ღირსების დამდაბლებელ საქმეთ და ცოდვით მიჩნია, იმისთვის მოსვენება მოსვენება თუ არ არის წველება და ტანჯვა.

უპირობოებოც ბევრი არიან, რომლებიც აწეილან. ამ შკოლებსათვის მმართველობა ხარჯავს 414,926 გირ. სტერლინგს; სწავლის ფასიდან და სხვა შკოლების საშუალებიდან შემოდის 420,792 გირ. სტერ. სახალხო ხელის მოწერით და სხვა ქონების სარგებლობიდან, რომლებიც შკოლებსათვის არის ნაჩუქარი, შემოდის 742,730 გირ. შორსტერი ამბობს, რომ საზოგადოთ შკოლები ვერ ასრულებენ თავის დანიშნულებას, რადგანაც მხოლოდ მეოთხედი იმ ყმაწვილებისა სწავლობენ, რომლებიც წინა 10 წლის არიან, და მეხუთედი 10-დან 12-მდე არა; მხოლოდ ესენი იძენენ ზოგიერთ საფუძვლიან ცოდნასაო. ანგლიის ჯარში რაც წელს რეკრუტები შევიდნენ, იმათში მესამედმა ნაწილმა წერა-კითხვა არ იცოდა. საქონიაში კი რევას რეკრუტში, მარტო ოთხს არა სცოდნოდა და ამხედრაც გამოძიება მოეხდინათ, რომ შეეტყუათ რათ არიან უსწავლევლებიო. ანგლიაში სამი მიწეზი უშლის ხალხს განათლებას. პირველათ ის, რომ პატარა სოფლები არის, და ვერ შეუძლიანთ შკოლების გამართვა; მეორე მხენელ-მთესველებისათვის ყმაწვილები საქირონი არიან და ამიტომ შეილებს ან სულ არა გზავნიან შკოლებში, ან ისევ მალე გამოაყავთ. ბოლოს საწყალი ხალხი დიდრონ ქალაქებში შეილებს ვერა გზავნის სასწავლებლებში. მუნდელა არ იყო კმაყოფილი ხალხის განათლებისა ანგლიაში, რადგანაც ეს სახელმწიფო ყველაზე ბევრს ხარჯავს ამ საგნისათვის

და ყველაზე მცირეთ კი ასრულებს თავის წადილს. პრუსია და განსაკუთრებით საქონია უფრო ცოტასა ხარჯავს განათლებისათვის. (რასაკვირველია შედარებით), მაგრამ იქ ყველა მოსწავლე იძენს ცოდნას; მეცნიერების ცოდნის გარდა ხელოვნობას, რადგანაც იქ არის გამართული მშვენიერი სახელოსნო შკოლები. ახლანდელი სწავლის რიგი ანგლიაში მით უფრო უხერხოთ უნდა შეირიცხოს, რომ ზოგან იმოდენი საშუალება არის მოგროვებული სწავლისათვის, რომ ნახევარზედაც ვერა ხმარობენ, და ზოგან კი სულ არ არის ეს საშუალება, თუმცა მოთხოვნილება არი. ეს სწავლის გაცრცელების დამპარკოვებელი მიზეზები თუმცა პრუსიაში, საქონიაში და შეეცარიაშიაც არის. მაგრამ იქ ეს სწავლის დანაკლისი გონივრულათ სასწავლებელი და სამუშაო დროს განწესებით შემცირებულია. ამასთან ნასწავლი მუშის გაკეთებული ნივთი უფრო ძვირათა ღირს, ვიდრე უსწავლელისაო. მართალი ურჩევდა პალატას კანკულელებში გაგზავნათ კომისია, შემდგარი მკოდნე პირთაგან, ბერმანიაში და სხვა ადგილებში იქაური სწავლის რიგის გამოკვლევისათვის.

ფორჩა

თბილისიდან ფორჩა მიდის: ორ შაბათობით პრევანში და ჯუღელისკენ. — სამშაბათობით ბაქოს გუბერნიაში და შემებაში — მსუბუქი ფორჩა. — მთხ შაბათობით რუსეთში, მუთაისში — შოთაძინ, პრე-

ვანში, ალექსანდროპოლში და ნოვოზიბოვით. — ხუთ შაბათობით — რუსეთში. — პარასკეობით — მუთაისში, სანეთში და პრევანში. — შაბათობით — რუსეთში და შემებაში. — მცირაობით რუსეთში და მუთაისში.

ბალეზაფი.

დებუშის გასაგზავნი ფასი თბილისიდან: მუთაისში, ბაქოს, მლადიკავკასს, მარბირს, შოთს, პრევანს, ახალციხეს, ნუხას, შემებას — 1 მან. ასტრახანს, შერხში, მოსკოვს და მდესას — 2 მან. — შორს, სილნალს — 50 კაპ. — პეტერბურღს, შენეევს, სტამბოლს — 3 მან. — პარიჟს, ლიონს, მარსელს — 3 მან. და 38 კაპ. —

საბიბლიოგრაფიო ცნობა.

ახლად დაბეჭდილი პეტერბურღში თ. ილი. შავჭავჭავის მოთხრობა

„კაცია-ალაშიანი“

მღებულთა ჩვენში და იყიდება შემდგომ ქალაქებში: თბილისში — მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში. მუთაისში — უ. ბერასიმე ძალანდარი-მელიქიანი. ბორში — უ. შრისტეფოვრე მამაცაშვილი-თან. ახალციხეში — უ. სტეფანე ბეთანოვ-თან.

და ქალის მოზღო. ძალუმი ხელები და მაგარი ტანის-აგებულება, — ეს ყოველივე იმეტიკიცება, რომ ისინი ბერმანის გლეხი — კაცები იყვნენ. ამ ხალხისთვის კვირა დღე ჩვენებურ აღდგომასათვის სახალისოა, რადგანაც იმ დღეს გლეხი კაცები მუშაობას თავს ანებებენ და ახლო-მახლო სოფლებში მიდიან ნაცნობების სანახავათ მეგობრებთან, მოსალაპარაკებლათ და ორიოდე ყანწი „პიოვს“ საზოგადო ღონისში გადასაკრავით. თითქმის ყოველი კვირადღე, ზაფხულში, აქ რომელიმე სოფლის დღესასწაულია, ასე რომ ვინც კი ზაფხულში ყველა დღესასწაულს დაესწრობა, შემოდგომის დამლევს თავისი მაზრის ყველა სოფლები ექნება ნახანი.

როგორც მოსიერნებები, ისე ფურგუნები და ცხენებიც ყვავილებით და წვანლით იყენენ გაქვდილი. შოველ ფურგუნზე, ქუჩრის გვერდში, დასობილი იყო დიდი უშეყვდელი „შავი, ოქროს და სისხლის ფერი ფირკლის ბაირალი: ეს ბერმანის დროშა; ბაირალებიც კი ვერ გადარჩნოდთ ფოთლებს და ყვავილებს.

ის სურათი მშვენიერი სანახავი იყო. მე პირ-დაღებული დავიარებოდი ამ უცხო ხალხის შუა და სიამოვნებით უყურებდ მისს სიამოვნებას და ხ. ლისს; მაგრამ, — გამოვტყუდები, — თავიდან ვერ მოვიცილე ეს შემაწუხებელი აზრი: „ინახისეთ, ვფიქრობდი მე, ინახისეთ, რამდენიც კი შეგეძლოთ; წასრული კვირის ჯაფა და სევედა გულიდან ამოიხრეთ, და მომავალი კვირისთვის ღონე და მოთმინება მოიმზადეთ, — თუ შეგიძლიათ...“

ამ ფიქრში ვიყავი მე გართული, როცა უკანდამ ვიღამაც მხარზე ხელი დამადე; მე უცნაოთ მოვბრუნდი და დავინახე ჩემი სახლის პატრონი, რომელიც თურმე იმავ დილას შრანკურტადან პრონბერგს თავისი ცოლ-შვილით წასულიყო. და თან ზოგიერთი ნაცნობებიც წაყვანა.

— თქვენ აქ რამ მოგიყვანათ? მკითხა იმან, გახარებული გაოცებით. — მართალი გითხრათ, არც მე ვიცი. და ესეირნობ... (შავრბელება შემდეგ 16-ში).

მ ზ უ რ გ ე თ შ ი — უ. მიხეილ შიქოძისთან. შ ა ს ი ა თ ი შ ა უ რ ი.

იხილეთ

პეტერბურღში და ამ ახლო ხანში გამოცემოთხრობა დ. შონქაძისა

„სურამის ციხე“

აგრეთვე რუსთაშელის პორტრეტი, ფოტოგრაფიული სამზღვარს გარეთ. —

მართელ ყმაწვილ კაცს, რომელსაც შეუძლებია სწავლა პარიჟში, ჰსურს ასწავლოს შრანციხული ენა. აღრესი იკითხეთ მელიქიშვილის სტამბაში, ხანის ქუჩაზე ბებუთოვის სახლებში.

სამაგრო ცნობები.

შვირილისა და თბილისის შუა რკინის გზის რკინის ხიდების გასამართავათ არის საქირო 240,000 ფუთი სიმძიმის გადატანა. სხვა და სხვა ხიდების იარაღების ნიდვათის დანიშნულს ადგილამდინ უნდა დაიწყოს ამ წლის ოქტომბრიდან და ყოველთვე უნდა მიიტანებოდეს 40,000 ფუთი. იმ ნივთებისათვის, რომელიც ასს ფუთზედ მიიმე იქნება სახელმწიფო ურმები მიეცემათ. მისაც ამ პოდრადის აღება ჰსურს, იმან თავისი განცხადება უნდა გაგზავნოს ზაკავკასიის რკინის გზების მუშაობის მეუფროსესთან მუთაისში.

მე ავიარ ჩავიარე ბაღში და, როცა ამ სურათების ცქერამ მეც მოქმარება დამაწყებინა, შროიანათ მორთულ სასტუმროში შევიდი, სადაც მოსამსახურე ქალი-შვილია, ჩემ დაუკითხავათ, ერთი სტაქანი რძიანი ყავა, ახალი გაზეთი და ნემცეური ქალის ღიმილი შემომამგება. ჩემის მხრით, მადლობის გვართ, მეც გაუღმიძილე, დევეშებს თვალი გადავავლე და ყავას მიუჯექი.

გამწარებულ და გამამწარებელ სიცხეში ყავის სმა, საწყენი ამბებით საესე გაზეთის კითხვა და ღამაში ქალის ღიმილის ცქერა, როცა კაცს გული არ უღიმილებს და თავი გასკდომს უპირებს, ძალიან დიდი სისულელეა. მე ამას მალე მიხვდი, ყავის გამოცლას აღარ მოუცადე, გაზეთი კუთხეში მივაგდე, გარდავიხადე ერთი შაური და გარეთკენ გასწიე.

მე ამ მომწონს და არ მიყვარს ზოდენი, ამიტომ რომ ეს არც ქლაქია და არც სოფელი. იქ, სამი ოთხი თვის განმავლობაში, არეულ-დარეულათ ცხოვრებენ სხვა და სხვა ქვეყნიდან მოსული კაცები, რომელთაც არაფერი კავშირი და გრძნობა, მობეზრებისა და მთქმარების მეტი, არ აახლოვებს და არ აერთებს, რათ ვარგა ამისთანა საზოგადოება, რა ღირსება აქეთ მის მწვერებს. თუ კი იმათ ერთი სული, ერთი გული და გრძნობა არ უდგიათ, და არც საერთო აზრი და მიზანი, არც საერთო სიყვარული და სიძულვილი აქეთ? ამისთანა საზოგადოება დიდ სასტუმროს გავს, და სასტუმრო აბა ვის უყვარს?... ამ აზრით მე პრონბერგისკენ გასწიე. ზოდენიდან პრონბერგამდელი ქვეითი კაცი საათ ნახევარს უნდებდა; მშვენიერი გზა ხან ტყეში და ხან ყანებში, ზოგან ქალებზე და ზოგან მთის მხრისკენ იკლანება. ამ გზაზე იმდენი სასიამოვნო და ღამაში რამეები ხედება კაცს, რომ საათ ნახევარი თითქმის სრულიად შეუნიშნავათ გარბის.

ზაზხე აქა-იქ წყვილ-წყვილათ მიდიოდნენ პრონბერგისკენ ახალგაზდა და მოხუცებული კაცები და ქალები; ამათ ხშირათ წინ ბავშვები მიუძღვებოდნენ. წყვილები ხან ცოლ-ქმარნი იყვნენ, და ხან „დანიშნულები“. კენტ